

ოზურგეთში ოთხი ქვეყნის დელეგაცია ჩამოვიდა



„ალეგრობის“ სახალხო დელესასწაულთან დაკავშირებით, ოზურგეთში ოთხი ქვეყნის დელეგაცია ჩამოვიდა. პირველი სტუმარი უკრაინის ქალაქ გენინესკის დელეგაცია გახლდათ. გენინესკელები, ვისთანაც ოზურგეთს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს, პარასკევს ჩამობრძანდნენ. როგორც მკითხველმა იცის, ეს მეგობრობა სათავეს 1938 წლიდან იღებს. მეგობრობის აღდგენის ინიციატივა ორივე მხარეს ეკუთვნის.

გენინესკის დელეგაციას საზეიმო დახვედრა ქალაქის შემოსასვლელში მოუწყვეს. იტალიის, პოლონეთისა და ლიეტუვას დელეგაციები, ასევე საზეიმო ვითარებაში შაბათს მიიღეს. სტუმრები ჩამობრძანდნენ თბილისიდან და საქართველოს სვადასხვა ქალაქებიდანაც.

ალეგრობა-ოზურგეთობა 26 ოქტ-ომბერს გაიმართა და მან მთელი ქალაქი მოიცვა.



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 37 (10330) 28 ოქტომბერი, 2019 წ. ღასი 60 თეთრი.

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

სიყვარულის გაკეთილგობიდან სიყვარულის დღესასწაულამდე



24 ოქტომბერს, ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლამ ამაგდარი პედაგოგები გააცლია. ამ შთაბეჭდვად ღონისძიებაზე, რასაკვირველია, საკუთარი აზრით გამაჩნია, მაგრამ წერილის სათაური მაინც მოსაწვევი ბართიდან „მოვიპარე“, რადგან მან მთლიანად დაიღია მთელი ღონისძიება, ანუ სკოლაში დაწყებული სიყვარულის გაკეთილი „ელეგანტში“ სასწაულ სიყვარულის დღესასწაულად იქცა. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ დამსწრე საზოგადოებას, მათ შორის ყურნალისტებსაც, ამ ღონისძიებაზე მიღებული შთაბეჭდილება დიდხანს არ გაგვინდობდა. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ იმ ამაგდარ პედაგოგებს, ვისაც ეს ღონისძიება მიეძღვნათ, ვისი არა შრომითი საქმიანობის, არამედ ჭეშმარიტად მოღვაწეობითი ბი-

ოგრაფიებისთვის ეს ერთგვარი გვირგვინი იქნება. საპენსიო ვილოზე გასულმა ამ თოთხმეტმა ადამიანმა – **ლიანა იმედაშვილმა, ზაირა გოგიბერიძემ, მანანა კეჭყაძემ, ნატა სალუქვაძემ რუსუდან ზემერმა, მადონა ცინცაძემ, ვიული გოგუაძემ, ვერა ჩანტლაძემ, როზა არბელიძემ, ნაილი ბიწაძემ, ანა ნაკაშიძემ, რუსუდან ბაქანიძემ აზა მყავანაძემ, ინდიანა ჭანიშვილმა**, როგორც პროფესიონალებმა, როგორც გამორჩეულმა პიროვნებებმა, დიანაც დამსახურეს ეს პატივგება და სიყვარული!

თოთხმეტი სახის თოთხმეტ მეტყველ პორტრეტში თვალები იყო ყველაზე საინტერესო შტრიხი, ამაგდართა თვალები, რომელშიც სკოლასთან განშო-

სოფელ ვაკიჯვარში ჰესის მშენებლობის მემორაუნდი დაიწყო

ალიონი. მას შემდეგ, რაც 26 ივლისს სოფელ ვაკიჯვარში უშედეგოდ დაასრულა მოსახლეობასთან შეხვედრა, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორაიშენის“ წარმომადგენლებმა 9,085 მეგავატი სიმძლავრის ნატანები 3 ჰესის მშენებლობის შესახებ, ისინი სხვა გზას დაადგინეს და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან დაიწყეს დაზურული შეხვედრები.

23 ოქტომბერს, ასეთი დაზურული შეხვედრა სოფელ ვაკიჯვარის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გაიმართა. შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორაიშენის“ პროექტის მენეჯერი **გიორგი მარგებლაძე** პედაგოგებს შეხვდა.

– შეხვედრამდე ერთი საათით ადრე დაგვიკავშირდნენ. მე ამ დროს ოზურგეთის რესურსცენტრში ვიყავი სკოლის დირექტორების თათბირზე და შეხვედრას არ დავსწრებივარ. როგორც პედაგოგებმა მითხრეს, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორაიშენის“ წარმომადგენელი პედაგოგებს დაპირდა, თუკი ისინი თანახმა გახდებიან ჰესის აგებაზე, ვაკიჯვარის მოსახლეობას უფასო მიწოდებენ განსაზღვრული რაოდენობის, – თვეში 40 ლარის ღირებულების ელექტროენერჯიას. ასევე დაპირდა ბიბლიოთეკის მოწყობის და სკოლის ბუფეტში ბავშვების კეებაზე



დახმარებას. სკოლის ბუფეტი 2 წელია გაიხსნა, მაგრამ ბავშვები უსახსრობის გამო ბუფეტს ვერ იყენებენ. ისე, ვიცო, სოფელში მხარდაჭერა სიებასც აგროვებენ – გვითხრა სოფელ ვაკიჯვარის საჯარო სკოლის დირექტორმა **ანეტი გელეგანოვა**.

მანვე გვითხრა, რომ პედაგოგებს, რა თქმა უნდა, სურთ ტურიზმის განვითარება, ჯანსაღი ჰაერი, თუმცა რასაც პირდებიან, იმაზეც არგუმენტირებული პასუხები ვერ მიიღეს.

ჩვენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს სოფელ ვაკიჯვარში **ვანტანგ (ბაჩანა)**

ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.

– შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორაიშენის“ წარმომადგენლებმა იციან ჩემი პოზიცია, ამიტომ არც დამკავშირებიან, თუმცა ინფორმირებული ვარ შეხვედრის შესახებ. ფაქტიურად ამას შეხვედრას არც დავართქმევდი, რადგან პედაგოგების ნაწილი არც შეხვედრის კომპანიის წარმომადგენლებს. ისინი შენობიდან გარეთ გამოსულ პედაგოგებს ესაუბრნენ.

რომელ ბიბლიოთეკას მოაწყობენ? სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში ვაკიჯვარის მოწყობილი ბიბლიოთეკა. ადრინდელი წიგნებიც იყო შე-

ნახული და ახალი წიგნებიც მოგვაცოდა ოზურგეთის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკით უფროსებიც სარგებლობენ და სკოლის მოსწავლეებიც.

კი ბატონო, რამდენიმე ადამიანი არის სოფელში, რომლებიც მხარს უჭერენ მათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს სოფლის უმრავლესობის აზრს.

– **თქვენი პოზიცია როგორია?**

– სოფელ ვაკიჯვარს კურორტის სტატუსი აქვს და მისი ლანშაფტით, ბუნებრივი რესურსებით ხელი უნდა

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთიერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუცილობა წერილები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
 რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 სანფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე
 «ალიონით»

სიყვარულის გაკვეთილებიდან სიყვარულის დღესასწაულამდე



რების სინანული და განვლილი პედაგოგიური ცხოვრების სიამაყე იკითხებოდა. დინამიკითაც გამორჩეული ღონისძიება გახლდათ. „მოსწავლემ როცა მითხრა, მასწავლებელი, სკოლას დააკლდი, ე. ი. რაღაც გამოკეთება... „ჩემთვის პენსია არ არსებობს, მე თქვენი ცხოვრებით ვცხოვრობ და ვიცხოვრებ, ჩვენ მასწავლებლები არ ვებრდებით... „როგორც მუხიკოსებად, პუტეზად, მხატვრულად იბადებიან, ისე უნდა დაიბადო მასწავლებლად... ვერ ვასწრებ ჩაწერას, აადა, როგორი ფრაზებია!!!
 მაინც რა არიან ეს მეორესკოლელები - როგორც მოსწავლეები, ისე პედაგოგები, მზეს ამოაცალეს, ალბათ, თორემ ამდენი სითბო საიდან?! როგორი მორგებული ეპითეტები და

მეტაფორებია. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს ყველაფერი იმდენად გადამდებია, რომ მხარისა და მუნიციპალიტეტის პირველი პირების გამოწვევებშიც იგრძნობა საოცარი მეტამორფოზა - საჯარო პირებისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული, ოფიციალური მისალოცი სიტყვები იმპროვიზირებული, ხატოვანი, თითოეული ამაგდარი პედაგოგისადმი ზუსტად მისადაგებული გამოხატულებებით იცვლება. ღონისძიების ბოლოს რატომღაც ნიკანდრო ქირიას ფრაზა ამეკვიტა - „დედა რა იყო ეს, ა?“ რა იყო და განუმეორებელი, ღია, საჯარო გაკეთილი სიყვარულის სკოლიდან და სიყვარულის სცენიდან! ასე იცის სიყვარულმა და ასე იცის მეორე საჯარო სკოლამ!!!

სოფელ ვაკიჯვარში ჰმის მშენებლობის მეორე რაუნდი დაიწყო

შეუწყოს ტურიზმის განვითარებას რეგიონში. თავდაპირველად 3 ჰმის აგებას გეგმავდნენ, ასე აქვთ მოთხოვნა შეტანილი. როგორ ფიქრობთ, ერთს რომ ამუშებენ, გაჩერდებიან? ვაკეთვალისწინით უნდა ისიც, რომ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქობულეთი, სადაც ვაკიჯვარი-ბახმაროს ტურისტული მარშრუტი გადის. ან მდინარე ნატანები, რომელიც 4,5 კილომეტრზე 1,2 მეტრი მოცულობის მიღში უნდა მოემწყვდეს? ჩვენი კანონით ხომ მდინარეში მხოლოდ წყლის 10 პროცენტი დარჩება. ან რატომ არ ჩამოდის თავად კომპანიის მფლობელი დავით ბეჟუაშვილი. წინა ხელისუფლების დროს არც ეკითხებოდნენ სოფელს, ისე წყვეტდნენ ასეთ საკითხს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ხალხის აზრის გამოკითხვა ხდება ამიტომ, არა მგონია, ვაკიჯვარელები დაეთანხმონ ჰმის მშენებლობას - გვითხრა ნიჟარაძემ.
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა სოფელ ვაკიჯვ-

ვარში გიორგი მდინარაძემ კი გვითხრა, რომ იცის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის აზრი ჰმის მშენებლობასთან დაკავშირებით. იგი საჯარო მოხელეა და მუდამ მზადაა ხელი შეუწყოს ენერჯიკომპანიისა და მოსახლეობის დიალოგს, მაგრამ „უნივერსალ ენერჯი ქორფორაიმენის“ წარმომადგენლები მას არ შეხვედრიან.
 გაზეთი „ალიონი“ ვერ დაუკავშირდა შპს „უნივერსალ ენერჯი კომპანიის“ წარმომადგენლებს, რადგან მათ მედიასთან კონტაქტი არ ჰქონდათ დაგეგმილი.
P.S. ახალი კვლევების თანახმად, მზის ენერჯიამ შესაძლოა მსოფლიოს ენერჯის 68 პროცენტი დააკმაყოფილოს, დანარჩენ 32 პროცენტს კი სხვა განახლებადი ენერჯით მოიცავენ.
 რამდენიმე დღის წინ ხარაგაულის 5 სოფელში, ეკოგრანტების პროგრამის ფარგლებში მზის მცირე ელექტროსადგურები დამონტაჟდა. (ფოტო ალიონის არქივიდან. 13.08. 2019 წ)

პროგრესის სახლმა მელიაკონაურის უბანში შეაჯამა

ალიონი. ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრმა - პროგრესის სახლმა, შეაჯამა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში გამოცხადებული მედიაკონკურსის შედეგები. ჟიურიმ

გამარჯვებულად ცნო ჟურნალისტების ნინო ვაშალიძის, ნათია სამსონიძის, გიორგი გირკელიძისა და თემურ მარშანიშვილის ნამუშევრები. გამარჯვებულებს გადაეცათ სივლეები და ფულადი ჯილდოები.

ქ. როკიშკისის დელეგაცია გურიაში იმყოფება

ოზურგეთში ოფიციალური ვიზიტით ლიტუვას რესპუბლიკის, ქ. როკიშკისის დელეგაცია იმყოფება. ვიზიტის მიზანს რეგიონის გაცნობა წარმოადგენს. როკიშკისის მერის წარმომადგენელი ვიტაუტას საული და სტაროსტა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დალია ჯალენიანე, გურიის მხარის რწმუნებულს შურაბ ნასარაიას შეხვდნენ. მხარეებმა გურიის რეგიონისა და როკიშკისის მეგობრულ, პარტნიორულ ურთიერთობებზე ისა-

უბრეს. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ვია მამაკაიშვილი ესწრებოდნენ. ლიტუვას დელეგაცია ოზურგეთში რამდენიმე დღეს დარჩება. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა სექტორთან. 26 ოქტომბერს კი სტუმრები ალევრობის დელეგაციას დაესწრებიან.



ბახმაროს წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტირება იწყება

საქართველოს გავრთიანებული წყალმომარაგების კომპანია კურორტ ბახმაროს წყალმომარაგება-წყალარინების სისტემებისა და წყალარინების გამწვანების ნაგებობის მშენებლობის პროექტირებას იწყებს. შესაბამის დოკუმენტს ხელი მოაწერეს წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა, ეკატერინე გალდავამ და შპს „წყლისა და შენობების ინჟინერია“-ს დირექტორმა, კონსტანტინე სანაძემ. ბახმაროში დღემდე არ არსებობს წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა, არ ფუნქციონირებს კანალიზაციის ქსელი და გამწვანების ნაგებობა. შესაბამისი ინფრატრუქტურის

არ არსებობს გამო დაბას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. პროექტირების დასრულების შემდეგ, დაიწყება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, ასევე გამწვანების ნაგებობის მშენებლობა. პროექტის განხორციელება საბოლოოდ გადაჭრის ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს და ბახმაროს დამსვენებლებს სტაბილური წყალმომარაგებით უზრუნველყოფს. ასევე, კურორტს წყალარინების გამართული ინფრატრუქტურა და გამწვანების ნაგებობა მოემსახურება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკებს.



ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესის გზიდან, სოფელ ჯუმათის ცენტრის გავლით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.
 - სოფელ გაღმა დვბაზუდან - სოფელ ბახვის ცენტრალურ გზამდე, 2260 გრძივი მეტრი საავტომობილო გზის ასფალტო
 - ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.
 - მუნიციპალიტეტის სოფლებში ამპულატორიების მშენებლობა
 - რეაბილიტაცია გრძელდება. ახალი სამედიცინო პუნქტები შენდება ჭანეთში, ნასაკირალში, გურიანთასა და კონჭკათში. ხოლო რეაბილიტაცია ნატანების, ნარუჯის, ბაილეთის, შემოქმედის, ურეკისა და ბოზვარის ამბულატორიებს უტარდება. - ქალაქ ოზურგეთში, წერეთლის ქუჩაზე, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუღებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

ამაგდარი



იყო ორგანიზებული, შეხმატკბილებული მეგობრული კოლექტივი. სანიშნო ქცევამ და შრომამ წარმატება მოუტანათ და მოსწავლეებს გადაეცათ გარდამავალი დროშა. პირადად რევაზ თედორაძე დაჯილდოვდა მედლით - ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

1965 წელ რევაზ თედორაძე დაინიშნა ჩონხატაურის კულტურის განყოფილების გამგედ, სადაც თითქმის 40 წელზე მეტი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში რევაზ თედორაძემ კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გაიხსნა სამხატვრო სკოლა, პროფესორ მოსე გოგიბერიძის, ნიკო მარისა და ნოდარ დუმბაძის სახლ- მუზეუმები. 43 სასოფლო ბიბლიოთეკა, 15 სასოფლო კლუბი, 9 სასოფლო კულტურის სახლი. შეიქმნა მუსიკალური კოლექტივები, ფოლკლორული ანსამბლები „გურია“, „ნაბელავე“, „მანდილი“, ბიჭუნათა ანსამბლი „ჩონხატაური“, ვეტერანთა ანსამბლი „გამარჯვება“, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი „ნადური“. მაღალ საფეხურზე ავიდა შემოქმედებითი მუშაობის დონე, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებულებები შეივსო უახლესი ინვენტარ - მოწყობილობით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, უნიკალური წიგნადი ფონდით...

რევაზ თედორაძეს ასევე განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჩონხატაურის სახალხო თეატრის განვითარებაში. მისი ინიციატივით თეატრში სპექტაკლები მრავალჯერ დადგმულა, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული რეჟისორების მიერ, რამაც განაპირობა მსახიობთა სცენური დაოსტატება და სპექტაკლების წარმატება. ჩონხატაურის თეატრი სისტემატურად მონაწილეობდა სახალხო თეატრების დათვალიერებაზე და ჟიურის კომპეტენტური წევრებისა და მაყურებლის მოწონებას იმსახურებდნენ. მაღალმხატვრულ დონეზე წარ-

მოდგენილი სპექტაკლებით რეჟისორებსა და მსახიობებს მრავალჯერ დაუმსახურებიათ ჯილდოები და სივრცეები. ასევე მიღწეული წარმატებისათვის ზემდგომი ორგანოებისაგან არა ერთი ჯილდო აქვს მიღებული კულტურის დაწესებულებებსა და კულტურის დარგის მუშაკებს.

რევაზ თედორაძე წლების მანძილზე პარალელურად მუშაობდა კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ. პროფესორ იური სიხარულიძესთან ერთად ჩაატარა სამეცნიერო სესიები კულტურის ძეგლებზე: ბუკისციხე, ერკეთი, გორაბერეჟოული, შუაგანახლების უდაბნო. თითოეულ მათგანზე გამოცემულია ცალკე ბროშურები.

რევაზ თედორაძე 10 წელზე მეტია, რაც ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის გურიის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელად მუშაობს. ამ პერიოდში მრავალი საინტერესო ღონისძიება გამართულა. რამდენიმე მათგანის დასახელებით შემოიფარგლებით: - ბუკისციხელ მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრა; მოკრიმანჭულე ვანო გუდაგაძის ხსოვნის საღამო ფოთში; მთაწმინდის პანთეონის ჩონხატაურელი ბინადარნი; გურიისა და აჭარის მეზობლობისა და მეგობრობის საღამო, რომელიც ჩატარდა გონიოს ისტორიული ციხე გალაგნის ტერიტორიაზე; ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტის გერონტი კუხალაიშვილის წიგნის „მომავლის წარსულის“ პრეზენტაცია - ჩონხატაურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში; სოფელ ბუკისციხეში სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: რას მოგვითხრობს კულტურის ძეგლები და აკადემიკოს იური სიხარულიძის 85 წლის იუბილე; სოფელ ბუკისციხის სკოლაში ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის-აკადემიკოს ნუგზარ ნადარაიას დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო; ოზურგეთის რაიონის სოფელ დვანში შალვა დადიანის სახლ-მუზეუმში მეცნიერის გახსენების საღამო.

აღნიშნული და მრავალი სხვა ღონისძიებები, რომლებიც გურიის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ საზოგადოებრივ საწყისებზე იმართება, იმ ადამიანების გვერდში დგომითა და დახმარებით ეწყობა, რომლებიც თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად პირნათლად მოღვაწეობენ. ესენი არიან: გოგი გუდაგაძე - ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის გურიის რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორი, ნუგზარ ასათიანი - გურიის რეგიონალური ორგანიზაციის ოზურგეთის განყოფილების ხელმძღვანელი, ალექო კვინტრაძე - ჩონხატაურის განყოფილების ხელმძღვანელი, ნათია კალანაძე-ჩონხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ქეთევან სიხარულიძე - ჩონხატაურის საკრებულოს დეპუტატი, ციალა მახარაძე- ბუკისციხის საჯარო სკოლის დირექტორი, იოსებ მეგრელიძე - ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი და სხვ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის სათანადოდ იქნა დაფასებული ამაგდარი ადამიანის ღვაწლი. რევაზ თედორაძე გახლავთ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი. საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენისანი. ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის გურიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი - აკადემიკოსი. ჩონხატაურის მერიასთან და გურიის გუბერნატორთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს წევრი.

რევაზ თედორაძეს ჰყავს მეუღლე იზოლა სირაძე, შვილები მარინე და მანანა, შვილიშვილები გიორგი და სოფო კოკაიები და რეზიკო ცინცაძე. ბატონი რევაზი ამაყია თავისი ოჯახით, რამეთუ თითოეული მათგანი სამაგალითონი არიან თავიანთი საქმიანობითა და კეთილშობილებით.

ამაგდარი პიროვნება თავისი გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით მუდამ მზად არის იდგეს იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს. მისი ოცნება კი ბედნიერი, ლაღი, ძლიერი და თავისუფალი საქართველოა.

ქეთევან კუპულავა

„თუ გინდა ცვლილება სკოლაში, დაიწყე ეს საკუთარი თავიდან“



ალიონი. 21 ოქტომბერს, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ინიციატივით, კავშირში „8+1“ გამართა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა ბელგიაში სასწავლო გაცნობით ტურს. სასწავლო ტური „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ორგანიზებით მოეწყო და მასში მონაწილეობდნენ გურიის რამდენიმე საჯარო სკოლის (ქალაქ ოზურგეთის №2, და №4, სოფელ ხაჯალიისა და სოფელ შემოქმედის) დირექტორები, ასევე განათლების სისტემის წარმომადგენელი. სასწავლო ტური 7 დღეს მიმდინარეობდა. ტურის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ბელგიის განათლების სისტემასა და სხვადასხვა მეთოდური სკოლის მუშაობის პრინციპებს. გაიმართა 6 ოფიციალური შეხვედრა, სკოლების, უნივერსიტეტის, ქალაქ გენტის მერიისა და მუნიციპალური საგანმანათლებლო სერვისების ცენტრის წარმომადგენლებთან. ასევე გაიმართა არაფორმალური შეხვედრები სკოლის მოსწავლეთა შრომებსა და ბელგიელ მასწავლებლებთან, რომლებიც შეისწავლიან ქართულ ფოლკლორს.

კავშირში „8+1“ გამართულ პრეზენტაციაზე ტურის მონაწილეებმა დაინტერესებულ პირებს (სკოლის დირექტორებს, პედაგოგებს, მშობლებს, საბავშვო ბაღის წარმომადგენლებს) გაუზიარეს ის ინფორმაცია და შთაბეჭდილებები, რომლებიც მიიღეს ბელგიაში ამ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის გაცნობის შედეგად.

ამ სასწავლო ტურის შესახებ „ალიონთან“ საუბარში თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო სადრაძემ და ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორმა, ბატონმა ტარიელ კალანაძემ:

ნინო სადრაძე: „მრავალფეროვანი და შთაბეჭდვითი იყო ბელგიის ტური, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა“ და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მარინა თიფურაის ინიციატივით და ხელშეწყობით დაიგეგმა და განხორციელდა. გვეცანიტ ბელგიის ერთ-ერთი რეგიონის, ფლანდრიის საგანმანათლებლო სისტემას ხუთი სკოლის მაგალითზე, შევხვდით სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, გვექონდა მათთან საინტერესო დისკუსიები, დავთვალიერეთ საკლასო ოთახები, დავაკვირდით საგაკვეთილო პროცესს.

დღის მეორე ნახევარი დაეგეგმილი იყო არაფორმალური შეხვედრებით, რაც არანაკლებ საინტერესო გახლდა.

ყველაზე მთავარი: ვგუფის არაწვეულებრივი წევრები იყვნენ მოტივირებულები, საინტერესოები, აკადემიურები და გურული ოუმორით სავსენი“.

ტარიელ კალანაძე: „საგანმანათლებლო ტური, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მხარდაჭერითა და ორგანიზებით შედგა, იყო მრავალფეროვანი როგორც მხარისხორივად, ასევე ფორმით. იგი ითვალისწინებდა შეხვედრებს

სკოლებში, სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებში, მმართველობით ორგანიზაციებთან, არაფორმალურ შეხვედრებს, კულტურულ პროგრამას.

მთავარი მესიჯი ამ შეხვედრების გახლავთ „თუ გინდა ცვლილება სკოლაში, დაიწყე ეს საკუთარი თავიდან“ და მნიშვნელოვანია, რომ ამ „კოიაქმა“ ამ მხრივ ღრმად დამოვიქრა, რადგან ბელგიაში სსსმ განხილულა, როგორც უნიკალური მოკლენა და არაფორმალური მოსწავლის პრობლემაზე. ყურადღებას ამახვილებენ მის უნიკალურ თვისებაზე, რითაც ის სხეულისაგან განსხვავდება.

ეს არის კომპლექსური მიდგომა და, საჭიროებიდან გამოდინარე, მას რამდენიმე სპეციალისტი ემსახურება.

ხდება მეთოდის ბავშვის სასარგებლოდ მოდიფიცირება.

სკოლა ზრუნავს, რომ შექმნას ძლიერი ადამიანი, რომელიც მულტიკულტურულ საზოგადოებაში თავის ადგილს იპოვის.

ორიენტაცია აქვთ ხარისხზე და არა რაოდენობაზე, რადგან ციფრები ხარისხს არ გამოხატავენ. აქცენტი კეთდება განმავითარებულ შეფასებაზე, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.

სკოლის დირექტორები არიან საგანმანათლებლო მენეჯერები, რომლებიც ძირითადად ზრუნავენ სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ წარმართვაზე.

პარალელურ ჩვენს სკოლასთან: მივდივართ სწორი გზით, მთავარია, ცვლილება დავიწყოთ საკუთარი თავიდან და შევცვალოთ საკუთარი და საზოგადოებრივი ცნობიერება.“



მიესალმეთ ამ ქალბატონს, აღვილი შესაქმნელია, თქვენც მისი აყვანილი იყო

თეატრ მარშანიშვილი



ვინ არის ქალბატონი **მაყვალა ტულუში**... კითხვითი წინადადების ბოლოს რომ კითხვითი ნიშანი იწერება, ამდენი ნამდვილად ვიცი, მაგრამ არის უიშვიათესი შემთხვევები, როცა ეს სასვენი ნიშანი აბსოლუტურად ზედმეტია. ამ წერილის პირველი წინადადებაში სწორედ ასეთ იშვიათობასთან ვვარჯიშდები, რადგან ოზურგეთში (არა მხოლოდ) მართლაც ყველამ კარგად იცის, ვინ ბრძანდება ქალბატონი მაყვალა ტულუში – ბუბიაქალი, ვინაც თავისი პროფესიული მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში 30 ათასზე მეტი პირმშო ჰყავს აყვანილი. ამიტომ, ვთხოვთ, ფეხზე წამოუდგეთ და ისე მიესალმით ამ

დამსახურებულ ქალბატონს, რამეთუ აღვილი შესაქმნელია თქვენც მისი აყვანილი იყო. ქალბატონი მაყვალა იუბილარი ყოფილა 18 ოქტომბერს. ასაკს ხომ არ ვკითხავდი, თვითონ თქვა, სამოცდაათისა გავხდით. ტყუილს როგორ იკადრებდა, მაგრამ, ისე გამოიყურება, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ უკვე 7 ათეული წელი მოუტოვებია უკან. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობიდანვე სურდა ამ პროფესიის შესწავლა: „ბუბიაქალი ვარ. ბავშვობიდანვე მინდოდა ამ პროფესიის შესწავლა. საფერშლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1949 წლის 17 თებერვლიდან მუშაობა დაიწყო ოზურ-


გეთის სამშობიარო სახლში, რომელიც მაშინ რკინიგზის სადგურთან მდებარეობდა, ქალბატონი ვერა დანელია იყო დირექტორი. ამ დღიდან მოყოლებული, არ მიმიტოვებია ჩემი პროფესია. ყოველდღე ვმუშაობ, გარდა კვირისა“. ახალგაზრდებზე აუგს ვერ ათქმევინებ, მაგრამ წუხს იმის გამო, რომ ოჯახები არ იქმნება და შესაბამისად მთელ ქვეყანაში მკვეთრად იკლო შობადობამ: „იყო დრო, რაიონში მშობიარობის მაჩვენებელი წელიწადში 1500-ს აღემატებოდა, დღეში საშუალოდ 10-12 ბავშვი ჩნდებოდა, ახლა წელიწადში 400-მდე ძლივს ავიღვართ. არ ქორწინდებიან ახალგაზრდები, დაქორწინებული წყვილი კი, ერთი ბავშვი თუ გააჩნია, მეორეზე აღარ ფიქრობს. არადა, ყველამ იცის, რომ ოჯახმა მოითქანა აქამდე საქართველო. სოციალური გაჭირვება არ გამოდგება ამის მიზეზად, იმას ვერ ხედავთ, რომ ქვეყანას ყველაზე მეტად სწორედ შობადობის შემცირებით გაუჭირდება“. ნახევარი საუკუნის განმავლობაში კურიოზული შემთხვევები საკმაოდ ჰქონია, ერთ-ერთს სიამოვნებით იხსენებს: „ამ ამავეს კიდევ ნახევარი საუკუნე რომ გავიდეს, ვერ დავივიწყებ, ერთ დღეს ქალი შემოვიდა პიბრომის ოპერაციის ჩასატარებლად. შევხედე და მივხვდი, ორს-

ულთან გვექონდა საქმე, იმდენად მსუქანი იყო, მუცელი არ ეტყობოდა, მაგრამ, გუმანმა მიკარნახა, მალე უნდა ემშობიარა. მოვამზადეთ და მართლაც ნახევარ საათში მამრობითი სქესის სალსალამათი ნაყოფი შვა. გაგიჟდნენ ოჯახის წევრები, ერთ-ერთმა ხელში ამიყვანა, მშობიარე ქალის მეუღლე კი ტირილა სინარულიანად“. განსხვავებული იუბილარია, რამეთუ, მიუხედავად დამსახურებისა და აღიარებისა, არ აუღია ჩინმედეგები: „ჩინ-მედეგები ნამდვილად არ ამიღია, მაგრამ იმდენი სიგელი მაქვს, უჯრებში არ ეტყება. ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში სამი თაობა ავიყვანე ხელში და ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, რომ ქალაქში ყველა მცნობს. ამ დღეებში იუბილარი ვიყავი, იმდენი გამომასხილი მქონდა, „აფეთქდა“ ფეისბუკი. ქალაქის მერმა, ბატონმა კონსტანტინე შარაშენიძემ მომილოცა და საჩუქრები მომართვა. მერე რესტორან „ქალაქურში“ „ვარსკვავიც“ გამიხსენეს და „მედალიც“ გადმომცეს წარწერით „№1“. მეუღლე 24 წლის წინ გარდაეცვალა აფხაზეთში, რუსეთიდან საქართველოში მომავალი. მისი თქმით, აფხაზეთში შექმნილმა მამინდელმა სიტუაციამაც შეუწყო ამ სამწუხარო ამბავს ხელი. ჰყავს შვილი – გელა დოლიძე, პროფ-

ესით ეკონომისტი, რომელიც ახლა ციფრული ტექნიკის შეკეთებითაა დაკავებული და შვილიშვილი – ლანა, პროფესიით ადვოკატი. კითხვაზე – სად გრძნობს განსაკუთრებულ სიყვარულს, ვგპასუხობს: „რასაკვირველია, სამსახურში. 70-მდე აღმინანი ვართ და ყველას გვიყვარს ერთმანეთი. ხმაძალა შმიძლია ვთქვა, რომ არავინ მიყვინებია და არავის ვუწყვინებია“. ჩანაწერიან ბლოკნოტს ვიღებ და ფეხზე ვდგები. ღიმილით თვალს არ მაშორებს. ვატყობ, რაღაცის თქმა უნდა და სკამს ვუბრუნდები: „იცით, რა? დღეს ჩვენი დირექტორის, ბატონი დავით მდინარაძის დაბადების დღეა და, თუ ნებას მომცემთ, თქვენი ზაფხულის საშუალებითაც მივულოცავ“. სიამოვნებით-მეთქი, – ვგპასუხობ. მოკლედ, ვამთავრებ წერილს იმით, რომ საუკეთესო სურვილებით იუბილეს ვულოცავთ მედაღვას ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის – „ავერსის“ კლინიკის დამსახურებულ თანამშრომელს, ქალბატონ **მაყვალა ტულუშს**, ხოლო დაბადების დღეს – ამ კლინიკის დირექტორს, ბატონ **დავით მდინარაძეს**.

ბატონყმობის გაუქმება ქუთაისის გუბერნიაში (1865 წ.)

იხმამდგა მსკლუზიური უფლებით



საბოლოოდ კომიტეტმა ყმობიდან განთავისუფლებული გლეხებისათვის გადასაცემი მიწის რაოდენობა ასე განსაზღვრა: **ქუთაისის** და **ოზურგეთის** მაზრებში – 1 ქვეცა (900 კვადრატული საჟენი), **შორაპნის** მაზრაში – 2/3 ქვეცა (600 კვადრატული საჟენი), **რაჭის** მაზრაში – 1/2 ქვეცა (450 კვადრატული საჟენი). გლეხებისათვის გადასაცემი მიწის რაოდენობის შემცირება მცირემიწიანობით იყო გამოწვეული. 1865 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში სახნავ-სათესად და სავენახედ გამოსადევი მიწის ფართობი 288.000 დესტინას უდრიდა მაშინ, როდესაც გლეხთა კომლების რაოდენობა 28.921 კომლით, ხოლო მემამულეთა ოჯახების რაოდენობა 4.785 ოჯახით განისაზღვრებოდა.

ნება წარუდგინეს. მოხსენების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ოზურგეთის მაზრაში თვით იმერეთისაგანაც კი განსხვავებული მდგომარეობა იყო, რომლის გათვალისწინება ბატონყმობის გაუქმებისას მემამულეებს აუცილებლად მიაჩნდათ. გურული მემამულეები თვლიდნენ, რომ ბატონყმობის გაუქმების შესახებ დებულება ყველა მაზრისათვის ცალკე უნდა შემუშავებულიყო. ოზურგეთის მაზრის მემამულეების ზოგიერთი რადიკალური მოსაზრების მიუხედავად, მოხსენება საყურადღებოა. მემამულეები მიიჩნევდნენ: 1. ბატონყმობის გაუქმება საბოლოოდ გააღატაკებდა და დაღუპავდა გურიის თავადებსა და აზნაურებს; 2. გურიაში იმდენად მცირე იყო მიწა, რომ გლეხებისათვის მიწის მინიმალური რაოდენობით გადაცემაც კი დამლუპველი აღმოჩნდებოდა თავადებისა და აზნაურებისათვის; 3. ყმობიდან განთავისუფლებული

გლეხებისათვის გადასაცემი და მემამულის საკუთრებაში დარჩენილი მიწების გამოჯენის პრინციპის შემუშავება შეუძლებელი იყო, რაც გამოიწვევდა პროცესში დიდ დაპირისპირებას გამოიწვევდა; 4. ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაკვებობები და სხვ.), ასევე მოძრავი ქონება (შრომის იარაღები, შინაური ცხოველები და სხვ.); 5. გლეხებს არ უნდა გადასცემოდათ ტყე და საძოვრები; მემამულეების მიწისაგან უნდა შექმნილიყო ერთგვარი ფონდი. ყოველ მემამულეს შეეძლო მიწის ამ ფონდიდან ყმობიდან განთავისუფლებული გლეხისათვის დროებით სარგებლობაში (პრაქტიკულად იჯარით) მიეცათ 6 ქვეცა მიწა. თუ მემამულე ვერ შეძლებდა ყველა გლეხისათვის 6 ქვეცა მიწა გამოეყო, იგი ვალდებული იყო გლეხისათვის მიეცემული მიწის ყოველ ქვეცაზე ფასი 60 მანეთამდე დაეკლო. **ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ ი.ნ. წერეთლის აზრი.** 1865 წლის 25 აპრილის სხდომაზე ი. ნ. წერეთელი არ დაეთანხმა გლეხებისათვის გადასაცემი მიწის ნორმის (უმცირესი 4 ქვეცა, უმაღლესი 12 ქვეცა) განსაზღვრას. წერეთელი თვლიდა, რომ საკმარისი იყო დაწესებულიყო ერთი ნორმა 4 ქვეცის ოდენობით და არ ითვალისწინებდა იმ მოსაზრებებს, რომლებიც უმცირესი და უმაღლესი ნორმის განსაზღვრას თვლიდა საჭიროდ.

გაგრძელება, დასაწყისი გაზეთი „ალიონი“ №34-35
ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის აზრი. ქუთაისში კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარმმარ-თველობას გადაეცა. დაიწყო პროექტის განხილვა. პროექტის შესახებ აზრი გამოთქვა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, რომელიც საკითხის დიდ მცოდნედ ითვლებოდა. ბაგრატიონ-მუხრანსკი აღნიშნავდა, რომ ქუთაისის თავადაზნაურთა კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამასთან ერთად, ბაგრატიონ-მუხრანსკი მიიჩნევდა, რომ ქუთაისის გუბერნიის მემამულეების მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება არასწორი და დაუსაბუთებელი იყო. პირველ რიგში, ეს ეხებოდა იმ განსხვავების გაზიარებას, რომელიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს შორის არსებობდა. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი არ დაეთანხმა ყმობიდან განთავისუფლებული გლეხებისათვის გადასაცემი მიწის რაოდენობის მაზრების მიხედვით განსაზღვრას. ბაგრატიონ-მუხრანსკი აგრეთვე მიიჩნევდა, რომ პროექტში ბევრი დებულება სადავო იყო და ცხოვრებაში მისი გატარება ბევრ წინააღმდეგობას შეხვდებოდა. ბაგრატიონ-მუხრანსკის აზრი არ გაიზიარა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის კომიტეტმა. **ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის აზრი.** გენერალ-გუბერნატორი მიიჩნევდა, რომ პროექტის ცხოვრებაში გატარება ბევრ წინააღმდეგობას წარმოქმნიდა. მიზეზთა შორის იგი ასახელებდა მცირემიწიანობას, გლეხების მიწის

ნაკეთების ერთმანეთისაგან მოშორებას და სადავო მიწების არსებობას. სვიატოპოლკ-მირსკი აღნიშნავდა, რომ რეფორმის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გლეხობას საკუთრებაში უნდა მიეღო მიწა. მიწის გლეხობისათვის გადაცემა საქართველოში სოციალური დამაბულობის მოხსნისა და მშვიდობიანობის საფუძველი გახდებოდა. **მიწის გამოსყიდვის წესი.** იმერეთისა და გურიის მემამულეები მოითხოვდნენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის გამოსყიდვის იგივე წესი ამოქმედებულიყო, რომელიც მოქმედებდა თბილისის გუბერნიაში, ცხადია, ზოგიერთი შესწორებითა და დამატებით: 1. ერთი ქვეცა სახნავ-სათესი მიწის ფასი 20 მანეთით უნდა განსაზღვრულიყო (თბილისის გუბერნიაში ფასი 15 მანეთს უდრიდა), ხოლო ბაღ-ვენახისა – 50 მანეთით. 3. ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის შესახებ პროექტის განხილვა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობასთან არსებული გლეხთა მოწყობის კომიტეტის სხდომა შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა: **ალექსანდრ ნიკოლაი** (თავმჯდომარე), **ანდრეი ფადეევი**, **ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი**, **იული ვიტტე**, **ევგორ სტარიცი**, **ნიკოლაი ბარანოვსკი**, **კონსტანტინ ბოგდანოვ-კალინსკი**, **ტიტოვი**. კომიტეტის მუშაობაში მონ-

კვალი ოზურგეთის ქრონიკაში

ვიქტორ შარაშენიძე



ამ რამდენიმე წლის წინათ ლანჩხუთიდან ერთი ქალბატონი მეწვია, ვიქტორ შარაშენიძის შესახებ მასალები მომიტანა, მთხოვა, ძირველი ოზურგეთელია, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნეთ და იქნებ რამე დამატებითი მასალები მოიპოვოთ. ისიც დასძინა, ლანჩხუთელები ამ ადამიანს თავისიანად მიიჩნევენო. ჯერჯერობით ვერაფერი ვიპოვე ვაქვეყნებ წერილს ბატონი ვიქტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელშიც გამოყენებულია ამალია ხუხუა-იმნაძის მასალები (გაზეთი „ლანჩხუთი პლუსი“) ვიმედოვნებ, გამოქვეყნდებოდნენ.

ვიქტორ შარაშენიძე გახლდათ ექიმი-ორთოპედი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ლანჩხუთის ქალაქის თავი, ნადირობის ტრფიალი, ექსპერტ-კინოლოგი.

შარაშენიძეთა გვარი წარმოშობით ვანიდან ყოფილა. შემდეგ გადმოსახლებულა გურიაში, ნაწილი ჩოხატაურში, სოფელ ჩაისუბანში დასახლებულა. ვიქტორ შარაშენიძის წინაპრები კი ოზურგეთში დამკვიდრებულან. ვიქტორის მამას ნიკოლოზს ცოლად შეურთავს ბახველი შედლებული გლეხის ქალი, 13 წლის მატა ნიკოლაიშვილი. მათი სახლი - ხის გურული ოდა, ყოფილი 1905 წლისა და ცხაკაიას ქუჩების გზასაყარზე (ამჟამად აღმშენებლისა ფარნავაზ მეფის ქუჩები) მომალე ადგილას მდინარე სკუჩის პირას იდგა. გადმოცემით, ისინი ფლობდნენ დუქნებს, მდინარეზე ედგათ წისქვილი, ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, ჰყავდათ ცხენების რემა, გასაბჭოების შემდეგ ყველაფერი ჩამოართვეს მათ შორის ცხენები და 50 უნაგირიც მიაყოლესო.

ვიქტორი ნიკოლოზის და მატას უფროსი შვილი იყო. დაიბადა 1883 წელს სოფელ ბახვეში. 1895 წელს დაასრულა ბახვის ორკლასიანი სასწავლებელი. 1893 წელს შევიდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში. ის მოხვედრილა ივანე გომელაურის კლასში და როგორც თვითონ იგონებს, ის იყო იმ

დროისათვის დიდად პროგრესული და ლიბერალიზმის მატარებელი ადამიანი.

1900 წელს 17 წლის ვიქტორი მიემგზავრება დედაქალაქში და ირიცხება „მიხეილის“ საავადმყოფოსთან არსებულ თბილისის ე.წ. „სამოქალაქო ფერშლის სკოლაში“. იმავე წელს აყალიბებს საფერშლო სკოლის მოსწავლეთაგან სოციალ-დემოკრატიულ წრეს, ხდება მათი ხელმძღვანელი და წარმომადგენელი პარტიაში.

1903 წელს, საფერშლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ვიქტორი ინიშნება სოფელ შუშითას (სამხრეთ ოსეთი) ჯამგაროვის სახელობის საავადმყოფოში ფერშლად.

1906 წელს გაიწვიეს მოქმედ სამხედრო ნაწილში ხუნძანის (დაღესტანი) სამხედრო ბანაკში, სადაც მუშაობდა სამხედრო ლაზარეთში ფერშლად.

1905 წელს აირჩიეს გურიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრად. პოლიტიკური მოტივით ბაქოს ჟანდარმერიამ დააპატიმრა და ჩასვა ხუნძანის სამხედრო ციხის კარცერში. ციხის სველმა კედლებმა მას ჯანმრთელობა ძალიან შეურყია.

1910-1912 წლებში მუშაობდა საზოგადოებრივ ფერშლად სართიჭალაში (თბილისის მახრამ). 1912 წლის ნოემბრიდან 1913 წლის მარტამდე ისმენდა ლექციებს მოსკოვის ლეკინსონის ფერშლათა დახელოვნების კურსებზე. ამავე წელს აქვე მონაწილეობდა რუსეთის ყრილობაზე დისკუსიაში „ფერშლის სასწავლებლის“ პროგრამის გაფართოების შესახებ.

1913-1914 წლებში მუშაობდა კურორტ წებელდაში (სოხუმის ოლქი), საზოგადოებრივი ფერშლის თანამდებობაზე.

1914 წელს გაიწვიეს პირველ მსოფლიო ომში. ამ დროს ის მსახურობდა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის დღეებში აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომ-

არის ამხანაგად (მოადგილედ), შემდეგ - თავმჯდომარედ, შეთავსებით რედაქტორობდა გაზეთ „გოლოს სალდატას“.

1920-1921 წლებში ვიქტორ შარაშენიძე ქალაქ ლანჩხუთის ქალაქის თავად აირჩიეს. ნოე ყორდანიამ დიდი ყურადღება გამოიჩინა თავისი კუთხისადმი, ლანჩხუთს ქალაქის სრული სტატუსი მიაკუთვნა და ქალაქის თავად ბავშვობის მეგობარი და თანამებრძოლი კონსტანტინე (კოწია) წილოსანი, დანიშნა. ვიქტორ შარაშენიძე რიგით მეთრე ქალაქის თავი იყო.

ვიქტორ შარაშენიძე 1918 წელს ჩადის ლანჩხუთში გადმოცემით, იგი თავის მამიდაშვილთან ტარასი ვადაჭკორიასთან ჩერდება. აქტიურად მონაწილეობს ლანჩხუთის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვიქტორ შარაშენიძის ლანჩხუთში მოღვაწეობის პერიოდში შეიქმნა თეატრალური დასი, სცენა და 250-300 კაცზე გათვლილი დარბაზი. მიუშენეს ერთ ლანჩხუთელ ღურგალ პეტრე კილაძის დუქანს. იდგებოდა სპექტაკლები „ოტელო“, ერისთავის „გაყრა“, ია ეკალაძის „21 ჯვრით“. ბატონმა ვიქტორმა დიდად შეუწყო ხელი ლანჩხუთში სასულიერო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, შეუქმნა 30 სრულიად ახალი სხვადასხვა ინსტრუმენტი, ხელმძღვანელად მოუწვევია შესანიშნავი მუსიკოსი, წარმოშობით პოლონელი ივანე პეტრეს ძე ბერტულისი. ბატონი ვიქტორის უშუალო ჩარევით ლანჩხუთში მოღვაწეობას იწყებს ქართული ბალეტის ისტორიაში კარგად ცნობილი გვარის, ბაუერების წარმომადგენლები.

საინტერესოა მისი მოღვაწეობა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები: „ცოცხალი“, „იმედა“, „ძაღლის ერთგულება“, განსაკუთრებით სცენარების წერა იზიდავდა, „სოფლის ფერშალი“, „ქეციაანი ძაღლი“, „ადათები“. 1925 წელს კონკურსში წარდგენილი კინოსცენარი „ორი ტალღა“, რომელიც ასახავს, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გურიაში, წარდგენილ იქნა პირველ პრემიაზე. დიდი შრომა აქვს გაწეული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისათვის“.

1922-1923 წლებში მუშაობდა კურორტ ბახმაროს დირექტორად. 1923-1927 წლებში მთავარი საკურორტო სამმართველოს სამეურნეო განყოფილების უფროსია. ვიქტორ შარაშენიძემ დიდი დრო დაუთმო კურორტ ბახმაროს არამარტო სახელწოდების წარმოშობის გამოკვლევას, არამედ მისი განუმეორებელი სასიკეთო თვისებების დადგენას, როგორც მკურნალმა. მის მოღვაწეობას უკავშირდება ბახმაროში პირველი სამანქანო გზის შეყვანა. როგორც ამბობენ, ბახმაროს გზის მშენებლობა ჩქარი ტემპით განხორციელდა, მუშები თვით სერგო ორჯონიკიძემ გამოუყო.

ვიქტორ შარაშენიძეს აქტიური მონაწილეობა მიუღია ნაბეღლავის განაშენიანებასა და ბახმაროსთან ერთ სისტემაში გაერთიანებაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ დროისათვის უძიძეპის სენის ტუ-

ბერკულოზისაგან დასაცავად ბახმაროს უნიკალური ჰავის სასიკეთო თვისებების კვლევაში, განსაკუთრებით ძვალ-სახსართა ტუპერკულოზის განხრით.

1927 წელს გაემგზავრა ხარკოვში და ჩაირიცხა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსზე ფერშლის სტაჟით, რომელიც დაამთავრა 1932 წელს ექიმ-ორთოპედის სპეციალობით. 1930 წელს სამი თვე იმუშავა ხარკოვის მეორე საავადმყოფოში პროფესორ შევანდინის კლინიკაში. იმავე წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო ხარკოვის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც შემდგომში მოიხმინა ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და გაიარა კლინიკური ორდინატურა.

1933 წელს პირველი ქართველი ექიმ-ორთოპედი უმაღლესი განათლებით და მაღალი კვალიფიკაციით ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის 1 საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიული განყოფილების ორთოპედ-ტრავმატოლოგად. ამავდროულად, მუშაობს საკურორტო სამმართველოს სამთო-სანიტარულ ინსპექტორის თანამდებობაზე. 1934 წელს გადადის ფიზიკური მეთოდით მკურნალობის (ფიზიოთერაპიული) ინსტიტუტში ორთოპედიული ამბულატორიის გამგედ (ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ზანდუკელი). 1935 წელს ინიშნება ამავე ინსტიტუტის ორთოპედიული განყოფილების გამგედ. მეორე მსოფლიო ომის დროს ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი გადააკეთდა ევაკოსპობიტალად 377/1, სადაც განყოფილების გამგედ მუშაობდა. ომის დროს თავდადებული შრომისათვის 1944 წელს დაჯილდოვდა სიგელით „მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის“. სამხედრო სამედიცინო სამსახური დატოვა კაპიტნის ჩინით.

ვიქტორ შარაშენიძემ მონაწილეობა მიიღო ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა პირველი საკავშირო ყრილობის მუშაობაში.

მიუხედავად მისი დამსახურების კურორტ ბახმაროს მოწოდებაში და სამკურნალო პირობების შესწავლაში. 1922-1923 წლებში ბახმაროს კლიმატურ-სამკურნალო პირობების შესწავლად ბახმაროში მუშაობას იწყებს ხარკოვის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამედიცინო ექსპედიცია პროფესორ სიტენკოს ხელმძღვანელობით. დადგენილ იქნა ძვალ-სახსართა ტუპერკულოზით დაავადებულ როგორც ბავშვებზე, ისე დიდებულ კურორტ ბახმაროს უადრესად დადებით გავლენა. მიუღია ზამთრის განმავლობაში იქ ტოვებდნენ ავადმყოფებს და აღწევდნენ განსაკუთრებულ შედეგებს. ამას ემატებოდა კვების ის მრავალფეროვნება, რომელსაც ბახმაროში მოზამთრე მეჯოგეები სთავაზობდნენ ავადმყოფებს, რომელიც აუცილებელი იყო ავადმყოფობით დასუსტებული ორგანიზმის მოსამდიდრებლად.

საინტერესოა, რომ სამეცნიერო ჯგუფი მოითხოვდა საავადმყოფოსანატორიუმის აგებას 3000 საწოლზე, ავადმყოფთა ასაკის და

დაავადების გათვალისწინებით. ადგენდა ხარჯთაღრიცხვებს და უდგენდა მთავრობას... ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

ვიქტორ შარაშენიძე დიდ ყურადღებას უთმობდა სამკურნალო მინერალურ წყლებს: ზვარეს, ნუნის, ნაბეღლავს, მენჯს, ნაქალაქევს, იკვლევდა მათ სამკურნალო გავლენას ძვალსახსართა დაავადებებზე, ზრუნავდა მათ კეთილმოწყობაზე. ის თავის დაკვირვებებს აყალიბებდა დაბეჭდილ შრომებსა და მონუსებებში, კოლეგებს სთავაზობდა ორიგინალურ წინადადებებს. დღესაც მოქმედებაშია ე.წ. „შარაშენიძის სახევი“. როგორც ამბობენ, ის თავისივე ხელით მისივე რეცეპტით ამზადებდა მალამოებს „უნდომებისათვის“ (გურიაში ასე ეძახდნენ ავადმყოფებს), სამწუხაროდ, დაკარგულია თურმე მის მიერ განსაკუთრებული შემაღვნილობის ე.წ. „ლურსმანი-კამფეტი“, რომელიც გამოიყენებოდა მოტეხილი ძელების გასამაგრებლად. იგი თანდათან ისრუტებოდა ორგანიზმის მიერ და არ საჭიროებდა განმეორებით ოპერაციას მის ამოსაღებად. უკეთილშობილეს პიროვნებას, კოლეგას ყველა ეთაყვანებოდა, ისიც მათ მხოლოდ ერთი სიტყვით მიმართავდა „მამა“, „ამბობენ, სწორედ მამასავით მზრუნველი და მოამაგე იყო ყველასათვის.

1961 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ბატონ ვიქტორ შარაშენიძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებულ ექიმის წოდება. 1956 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტრამვატოლოგთა და ორთოპედთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი იყო.

ოჯახი: ოცი წლის ასაკში ვიქტორმა იქორწინა თბილისელ მერი ილიას ასულ ხანდამაშვილზე. ილია ხანდამაშვილი ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი ყოფილა. თავად მერი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა წმინდა ნინოს კეთილშობილ სასწავლებელი, ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. მათ ორი ქალიშვილი ჰყავდათ. ეთერი და თამარი ეთერი დაიბადა 1910 წელს, თამარი (ზიზო) -1916 წელს. ეთერი სპეციალობით მხატვარი ყოფილა და ქართველ მხატვართა პირველთაობას ეკუთვნოდა, გადმოგვცემენ მისი ბიოგრაფიები, რომელთა რიცხვში შედიოდა მხატვრები უნაჯაფარიძე და კოტე ჭანკვეტაძე (შემდგომში თამარის მეუღლე).

შვილიშვილი - მანანა შარაშენიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტი, ჰყავს მეუღლე შვილები.

ვიქტორ შარაშენიძის ოჯახი ცხოვრობდა ვორინცოვზე, ბინა 1932 წელს მამია ორახელ-აშვილის ხელშეწყობით მიუღია..

ვიქტორ შარაშენიძე გარდაიცვალა 1967 წელს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

მოამზადა
მანანა ლომაძე

კედლებიდან მომზირალი ემოციები

მორიგი საშემოდგომო გამოფენა სურათების გალერეაში

მარი კომკოვი



ოზურგეთის, მერაბ ბერძენი-შვილის სახელობის, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის მეცხრე საშემოდგომო გამოფენა გაიხსნა. უკვე ტრადიციად ქცეული ფერთა ზეიმი წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანია. 24 ოქტომბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით დამთავლდებულს საშუალება აქვს გურული მხატვრების ბოლოდროინდელი ნამუშევრები იხილოს. გამორჩეული – ასე შეაფასეს გამოფენა სურათების გალერიის სტუმრებმა.

გამოფენის გახსნას საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრები და თავმჯდომარე, გურამ ცერცვაძე ესწრებოდნენ. **გურამ ცერცვაძე:** გურიის რეგიონი მარტო ფოლკლორით არ გამოირჩევა. აქ მოღვაწეობენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საოცარი ოსტატები. მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს დღევანდელი დღისთვის. ჩვენ, მხატვართა კავშირი რომლის სრულფასოვანი წევრი გახდა გურიის ორგანიზაცია, მაქიმალურად დაგიდგებით გვერდით. ყოველთვის ვეცდებით მხარი დაგიჭიროთ შემოქმედებით მოღვაწეობაში, ვიზრუნოთ

თქვენი ხელოვნების პოპულარიზაციაზე. ჩვენ უნდა ვეცადოთ რეგიონებში მოხდეს თანამედროვე ხელოვნების განვითარება, ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. მადლობა თქვენ ვინც რეგიონებში შრომობთ და არაჩვეულებრივი ნაღვლით წარმოგიდგებით თანამედროვე ხელოვნების მოყვარულებს, თქვენი წვლილი შეგაქვთ რეგიონში კულტურის განვითარებაში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება უნდა იყოს სათანადოდ დაფასებული. საქართველოს მხატვართა კავშირმა რეგიონულ ორგანიზაციას საჩუქარიც გაუკეთა. დაიბეჭდა და გამოფენის თითოეულ მონაწილეს საჩუქრად გადაეცათ კატალოგი რომელშიც წარმოდგენილია წინა გამოფენების 50 ავტორის 150-მდე ნამუშევარი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **მარინა ჯაფარიძემ** თავდაპირველად მოიხილა რომ გამოფენის გახსნას მერი და „ხელისუფლების ძირითადი შემადგენლობა“ ვერ დაესწრო. ფაქტი კი იმით ახსნა, რომ „ჩვენი ქალაქი ალერგობასთან დაკავშირებით უცხოურ დელეგაციებს მასპინძლობს, მთავარი ისაა, რომ ჩვენ ქალაქში

გაზაფხულსა და შემოდგომაზე ყოველთვის არის მოლოდინი, რომ ამ სივრცეში რაღაც განსაკუთრებული მოხდება. დღეს სწორედ ამის მომსწრენი ვართ. ყველა მონაწილეს მადლობა ამ საოცარი ემოციებისთვის რომლებიც კედლებიდან იმზირება. მე დავეთანხმები სტუმრებს, ეს ქალაქი ნამდვილად არის ხელოვნების, ფოლკლორის, ფერწერის ქალაქი.“ თქვა ჯაფარიძემ. გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, **თამაზ დარჩიამ** უკვე დაანონსა მე-9 საგაზაფხულო და მე-10 საიუბილეო გამოფენები. იმედი

გამოთქვა, რომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოხერხდება კატალოგის გამოცემა. აქვე აღვილობრივ ხელისუფლებას კიდევ მეტი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, **ავთანდილ თავართქილაძემ** სტუმრებს მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა რომ საქართველოს მხატვართა კავშირთან თანამშრომლობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შეძლებენ.



14 მედალი ჩვენია!



21 ოქტომბერს დაიწყო და 23 ოქტომბერს დასრულდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, გენო ჩხაიძის სახელობის რეპაბლიკური ტურნირი,

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 2006 - 2007 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ შეჯიბრზე ოზურგეთის ნაკრებმა გუნდმა 14 მედალი პოპოვა. აქედან :
2 - ოქრო , 2 - ვერცხლი და 10 - ბრინჯაო.
ჩემპიონები - **ვანო ეფრეკიანი** და **საბა სირაძე** გახდნენ. ნაკრები გუნდი ტურნირისთვის მოამზადეს მწრთვანებმა: მძებმა ზურაბიანებმა, ბექა ჩოფლიანმა, კობა ბალაღინოვმა, გურამ და ალიკა აბაშიძეებმა, გურამ მაჭარაშვილმა, ლაშა დოლიძემ და კახაბერ აბაშიძემ.

სპორტსმენები თასებით, მედალებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. გუნდი ასპარეზობისათვის **აზა მჭავანაძემ** და **ბექა გოგუაძემ** მოამზადეს.

საკლუბო ჩემპიონატზე ჭადრაკში

19 და 20 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს საკლუბო საჭადრაკო ჩემპიონატის IX, X, XI და XII ტურები. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა "გურია" ოთხივე ტური სტუმრად ქუთაისში და სამტრედიამში გამართა. ქუთაისის "ქუთაისი" დასავლეთ ზონის 10 კლუბს შორის ყველა მოგებით, ლიდერობს და გურულებთან 19 ოქტომბერს რვა დაფაზე გამართული ორივე მატჩიც მოიგეს (6,5-1,5. და 6,5-1,5.) გურულების მიერ აღებული სამი ქულა ეკუთვნის დავით ცეცხლაძეს, ლუკა ქორიძეს, თენგიზ თოიძეს და ლუკა მახარაძეს. 20 ოქტომბერს, საჭადრაკო კლუბმა "გურია" სამტრედიამში საკმაოდ ძლიერ, ადგილობრივ კლუბთან იასპარეზა. ოზურგეთელებმა ორივე მატჩი მოიგეს, XI ტურში 5-3 და XII ტურში 6-2. „გურიას“ შემადგენლობაში თამაშობდნენ: დავით ცეცხლაძე (გუნდის კაპიტანი), გივი სიამაშვილი, ლუკა ქორიძე, ლუკა დლონტი, ანა მეგრელაძე, ლუკა მახარაძე, თენგიზ თოიძე, ნიკოლოზ ბარამიძე და ანდრია კიკაბიძე. ამ მატჩების მოგებით ოზურგეთელებმა სატურნირო მდგომარეობა

მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს. მიმდინარე ჩემპიონატის კალენდარული მატჩები გამართა ლანჩხუთის "ლანჩხუთი" და IX, X, XI, XII ტურში სამტრედიამში ამბროლაურის "ამბროლაურს" დაუპირისპირდა და ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით 5-3 და 5-3 მოიგო. ლანჩხუთელებმა XI და XII ტურები ბათუმში სტუმრად ითამაშეს პირველი 3-5 დათმეს, ხოლო მეორე მატჩი 4,5-3,5 მოიგეს და ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ. ჩემპიონატის XIII-XIV ტურის მატჩებს გურიის კლუბები სახლში გამართავენ. ოზურგეთელები ზუგდიდის "დადიანს" უმასპინძლებენ, ხოლო ლანჩხუთელები - სამტრედიის "სამტრედიას". სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია:
ქუთაისის ქუთაისი - ზუგდიდის დადიანი 3,5:4,5 და 6,5:1,5
ხოლის ხოლი - ამბროლაურის ამბროლაური 7 : 1 და 5,5:2,5
ფოთის ნანა - ბაღდათის "ბაღდათი" გადაიღო.

ოზურგეთელმა კალათბურთელებმა მესამე ადგილი აიღეს!

18 -20 ოქტომბერს ქ. ფოთში კალათბურთში, 2006 წელს დაბადებულთა შორის, ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა. აღნიშნულ ასპარეზობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული საკალათბურთო გუნდმა „გურია“ წარმატებით იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილი აიღო.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +8+20 28 ოქტომბერი ორშაბათი	ღრუბელი +10+18 29 ოქტომბერი სამშაბათი	მცირე წვიმა +8+18 30 ოქტომბერი ოთხშაბათი	წვიმა +6+17 31 ოქტომბერი ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +8+18 1 ნოემბერი პარასკევი	ღრუბელი +6+19 2 ნოემბერი შაბათი	წვიმა +8+20 3 ნოემბერი კვირა
--	---	--	--	---	---	--